

9. ნაწარმოების მიხედვით, მამალი არის:

ა. კეთილი

ბ. მსუნაგი

გ. უყურადღებო

10. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა:

„ლომი გარეული ცხოველია, ვირი კი _____ ცხოველი.“

ა. გარეული

ბ. შინაური

გ. არცერთი პასუხი არ არის სწორი

II სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი პასუხი: (10 ქულა)

11. რომელია ანდაზა:

ა. „ჟოლოს წვენიდან ჟინჟღლი ჟონავს.“

ბ. „ერთსა კაცსა ბლისკინელსა ბლის კალათით ბლის ხიდზედა ბალი გააქვს და გამოაქვს.“

გ. „არამკითხე მოამბუო, მიტყიპე და მიაგდეო.“

12. რომელი არ არის ქართული ხალხური ზღაპარი?

ა. „რწყილი და ჭიანჭველა“

ბ. „მელია და მწყერჩიტა“

გ. „ბემბი“

13. რომელი ზღაპრის გმირია გამოსახული სურათზე?

ა. ნაცარქექია

ბ. წიქარა

გ. კომბლე

14. რა წაიღო ნაცარქექიამ სახლიდან?

ა. ნაცარი, სადგისი, ყველი.

ბ. სადგისი, წყალი, ფქვილი.

გ. ყველი, სადგისი, წიგნები.

15. ზღაპრის რომელ გმირს სჭირდება ფეტვი მეგობრის დასახმარებლად?

ა. რწყილს

ბ. მელას

გ. მონადირეს

